

აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება -
საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N20-1

ქ. ბათუმი.

11/01/2022 წელი.

დღის წესრიგი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, დამცავი ზღუდარების, რკინა/ბეტონის კიუვეტების და სხვა) მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მამუკა თურმანიძე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი - ზებურ ჩავლეიშვილი.

კომისიის წევრები:

- იურიდიული სამსახურის უფროსი - მალხაზ ბოლქვაძე
- ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამსახურის უფროსი - როლანდი ბოლქვაძე.

აპარატის წევრი:

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ირინა ფუტყარაძე

სხდომას არ ესწრება კომისიის წევრი, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ასლან დუმბაძე.

მომხსენებელი: - ზ. ჩავლეიშვილი.

მოისმინეს: მომხსენებელმა - ზ. ჩავლეიშვილმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, დამცავი ზღუდარების, რკინა/ბეტონის კიუვეტების და სხვა) მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის საორიენტაციო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა ბაზრის კვლევა, კერძოდ 6 პოტენციურ მიმწოდებელს დაეგზავნა წერილები აღნიშნული მომსახურების სავარაუდო ფასების დადგენის მიზნით. აქედან 4 პოტენციური მიმწოდებლის მიერ მოწოდებული იქნა მომსახურების სავარაუდო ფასები, მათ შორის ყველაზე დაბალი ფასის მქონე პოტენციური მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასის მიხედვით საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების 20 მილიონი ლარის სავარაუდო ღირებულების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება შეადგენს 600 000 ლარს. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს ჩათვლით. შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად ვადები განისაზღვროს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიწოდების ვადა განისაზღვროს - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით. დასაპროექტებელ ობიექტებზე ინდივიდუალურ საპროექტო დავალებას წერილობით გასცემს შემსყიდველი. საპროექტო დავალებაში მიეთითება საპროექტო ობიექტების ჩამონათვალი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადა. მიწოდებელი ვალდებულია წერილობითი დავალების გაცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღეში წარმოადგინოს გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის, ასევე ხიდების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო ხელოვნური ნაგებობების (გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, დამცავი ზღუდარების, რკინა/ბეტონის კიუვეტების და სხვა) მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - წერილობითი დავალების გაცემიდან - არაუგვიანეს 30 კალენდარული დღეში. სტიქიური მოვლენების შემთხვევაში ხელოვნური ნაგებობების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნას შეზღუდულ ვადებში - წერილობითი დავალების გაცემიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, ხოლო ხიდებზე სტიქიის შემთხვევაში - არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

საჭიროებიდან გამომდინარე დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაში, ასევე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება ჩაბარებიდან 3 წლის განმავლობაში მიწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ხარჯთაღრიცხვის გადაფასება, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული სამუშაოების კვარტალური ფასებით, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პროექტის კორექტირება ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. მიწოდებელი ვალდებულია საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინოს ხელშეკრულების ღირებულების 2.5%-ის ოდენობის გამოუხმობი საბანკო გარანტია ზემოთ მოთხოვნილი პირობების უზრუნველსაყოფად, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 3 წლისა საბოლოო მიღება - ჩაბარებიდან.

პრეტენდენტს მოეთხოვება შემდეგი სახის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- 1) ფასების ცხრილი - დანართი N1-ის სახით, დამოწმებული ელექტრონული ხელწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
- 2) ტექნიკური დავალება დანართი N2-დამოწმებული ელექტრონული ხელწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.
- 3)) 2018 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების დღემდე პერიოდში პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის, გზებზე ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, ბეტონის საყრდენი კედლების, გაბიონების, დაცავი ზღუდარების, რკინა/ბეტონის კიუვეტების და სხა) მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების არანაკლებ 600 000 (ექვსასიათასი) ლარის ღირებულების, აქედან 1 (ერთი) ხელშეკრულების ფარგლებში არანაკლებ 300 000 (სამასიათასი) ლარის ღირებულების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების გამოცდილება.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის მომსახურებაზე დადებული ხელშეკრულებების და ამ ხელშეკრულებების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ წარმოდგენილი იქნას დანართი N3-ის სახით, დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

4) პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად უნდა ჰყავდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4-ში მითითებული დასახელების, რაოდენობისა და გამოცდილების პერსონალი (საგზაო ინჟინერი-1, ხიდების ინჟინერი - 1, გეოლოგი-1, გეოდეზისტი - 1, ჰიდროლოგი - 1). პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შემოთავაზებული თითოეული სპეციალისტის საანკეტო მონაცემები სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N5-ის შესაბამისად (ინფორმაცია სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემების, განათლების, კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ). წარმოდგენილი იქნას თითოეული სპეციალისტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და პასპორტის ასლები. ასევე წარმოდგენილი იქნას თითოეულ სპეციალისტთან გაფორმებული წინარე შეთანხმებები სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N6-ის შესაბამისად (შეთანხმების თანახმად სპეციალისტი იღებს ვალდებულებას, რომ კომპეტენციის შესაბამისად პირადად განახორციელებს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას. დანართი N4-ის შესაბამისად წარმოდგენილი პერსონალიდან არანაკლებ 2 (ორი) პერსონალს უნდა გააჩნდეს აღნიშნულ კომპანიაში მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი გამოცდილება, რაზედაც წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პრეტენდენტს მოეთხოვება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა, კერძოდ:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, ამასთან არაღიარებული საბიუჯეტო დავალიანება არ უნდა აღმატებოდეს ცნობაში დაფიქსირებულ ზედმეტობის თანხას.

- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, ასევე თუ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად ფიქსირდება ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დანტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის 1 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის საფუძველზე.

- ვინაიდან საპროექტო მომსახურება წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას, პრეტენდენტის მიერ სავარაუდო სატენდერო ღირებულებაზე 20%-ით ან უფრო მეტით დაბალი თანხის დაფიქსირების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის;

- მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

- ავანსის გაცემა გათვალისწინებული არ არის;

- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი შეადგენს - სატენდერო სავარაუდო ღირებულების 1%-ს.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, გზებზე ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, დამცავი ზღუდარების, რკინა/ბეტონის კიუვეტების და სხვა) მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მომსახურების ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი სატენდერო განცხადების და სისტემაში ასატვირთი ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;

2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 600 000 ლარის ოდენობით;

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ტენდერის გამოცხადების პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარე:

მამუკა თურმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზებურ ჩავლეიშვილი

კომისიის წევრები:

მალხაზ ბოლქვაძე

როლანდ ბოლქვაძე

აპარატის წევრი:

ირინა ფუტკარაძე